



ავტობიოგრაფია

მის: ქ.თბილისი. ვაჟა-ფშაველას II
კვ. კორპ: 6, ბინა 22

ტელ: +995 32 253 63 08

მობ: +995 99 533 522

ელ-ფოსტა: khuskivadzeakaki@gmail.com

აკაკი ხუსკივაძე

მე აკაკი პეტრეს-ძე ხუსკივაძე დავიბადე ქალაქ თბილისში 1975 წლის 6 აგვისტოს მუშა-მოსამსახურის ოჯახში.

დედა - ლალი ნაპოლეონის ასული ხუსკივაძე (ჭუბაბრია)

მამა - პეტრე აკაკის-ძე ხუსკივაძე

1981 წლამდე ვცხოვრობდი ქ. თბილისში კარგარეთელის ქუჩა N9 ე.წ. „იტალიურ ეზოში“, სადაც იყო მრავალეროვანი თბილისის საოცარი გარემო.

1981 წელს საცხოვრებლად გადავედი ქ. თბილისის გლდანის მასივში და სწავლა დავიწყე ქ. თბილისის N39 საშუალო სკოლაში, ხოლო 1983 წლიდან ქ. თბილისის N173 საშუალო სკოლაში, რომელიც დავამთავრე 1992 წელს.

სკოლის პერიოდში ვხასიათდებოდი მაღალი აქტიურობით მეგობრებთან ურთიერთობაში. მქონდა საშუალოზე მაღალი აკადემიური მოსწრება. დღემდე ვაფასებ პოეზიას და განსაკუთრებით მიყვარდა გალაკტიონი. მივდევი სპორტს (კალათბურთი, მძლეოსნობა). მივალწიე მცირე შედეგსაც მძლეოსნობაში - 1989 წელს გავხდი თბილისის ჩემპიონი 400 მეტრზე სირბილში.

1993 წელს ჩავაბარე ქ. თბილისის საერო სამედიცინო ინსტიტუტში სამკურნალო საქმის სპეციალობით. სადაც გამოვავლინე ლიდერის თვისებები გავხდი ჯერ ჯგუფხელი, ხოლო შემდგომში კურსხელი. ვხელმძღვანელობდი ყველა ღონისძიებას, რაც კურსის მიერ იყო დაგეგმილი. თანამოაზრეებთან ერთად ვთარგმნეთ წიგნები ქართველი სტუდენტებისთვის (ქირურგია, თერაპია, სტომატოლოგია). სამოქალაქო აქტივისტებთან ერთად შევქმენით ორგანიზაცია „მზიური“, რომელიც სკოლის მოსწავლეებისთვის საზაფხულო ბანაკებსა და ინტელექტუალურ-გასართობ თამაშებს უწევდა ორგანიზებას. ამავე პერიოდში გავიცანი ეროვნული მოძრაობის ლიდერები, რომელთაც საქართველოში არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობის გამო რთული პერიოდი ჰქონდათ, თუმცა ამან ვერ დამაბრკოლა დავმდგარიყავი მათთან ერთად ქვეყნის უკეთესი მომავლის შენებაში.

1995 წელს პირველად ჩავერთე არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ახალგაზრდულ ფრთაში. ვეზიარე დემოკრატიის მამოძრავებელ უმთავრეს პროცესს - არჩევნებს და ამის შემდგომ 1998 წლიდან ვიყავი ჩართული საქართველოში ჩატარებულ თითქმის ყველა არჩევნებში უშუალოდ საარჩევნო ადმინისტრაციაში.

ავტობიოგრაფია

2001 წელს შევქმენი ოჯახი, რომელიც ვფიქრობ საამაყო და თითოთ საჩვენებელია ყველა ნაცნობი ადამიანისთვის.

მეუღლე - ნათია სერგოს ასული მეტონიძე, რომელიც პროფესიით არის ჟურნალისტი, დიდი სამუშაო გამოცდილებით. ამჟამად მუშაობს ააიპ - მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოში.

2002 წელს შეგვეძინა - გიორგი აკაკის-ძე ხუსკივაძე, რომელიც ამჟამად არის საქართველოს უნივერსიტეტის 1 კურსის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი.

2004 წელს შეგვეძინა - ანნა აკაკის ასული ხუსკივაძე, ამჟამად ქ. თბილისის 1 ექსპერიმენტული საჯარო სკოლის მოსწავლე და აბიტურიენტი.

2006 წლიდან ხელის ტრავმული დაზიანების გამო ვერ გავაგრძელე მუშაობა სპეციალობით (ქირურგიის განხრით), ჩამოვშორდი მედიცინას, მთლიანად გადავერთე საგანმანათლებლო და საარჩევნო სფეროში.

2007 წლის ნოემბრიდან 2019 წლის დეკემბრამდე უცვლელად ვხელმძღვანელობდი N3 საბურთალოს საოლქო საარჩევნო კომისიას.

2010-2012 წლებში ვხელმძღვანელობდი ქ. თბილისის N161 საჯარო სკოლას. გარდა სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობისა შევქმენი ისეთი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთაც დღესაც იყენებენ საჯარო სკოლებში (კათედრის პორტფოლიო, დამრიგებლის პორტფოლიო, დირექციის მიერ პედაგოგის შეფასება, დირექტორის პორტფოლიო).


საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობისას მაქვს მიღებული 2 მაძლობა კარგად ჩატარებული არჩევნებისთვის.

სკოლის დირექტორად მუშაობის პერიოდში დამაჯილდოვეს ოქროს მედლით და დამასახელეს 2011 წლის საუკეთესო დირექტორად.

საჯარო სამსახურის პარალელურად ვეწეოდი პედაგოგიურ და ტრენერის საქმიანობას. 2019 წლიდან სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრში გადავედი ტრენერის პოზიციაზე (II კატეგორიის სპეციალისტი).

ამჟამად ვარ ააიპ „საზოგადოებრივი ინიციატივების ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი, სადაც ვმუშაობ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე და საარჩევნო ხარვეზების გამოვლენაზე და ამ ხარვეზებს გამოსწორებისთვის რეკომენდაციათა პაკეტების შემუშავებაზე.

აკაკი ხუსკივაძე



/ა. ხუსკივაძე/